# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 153. კვირა, 21 სექტემბერი 1903 წ. გაზეთის № 2270.


## ყაჭონა

(სურათი გურიის ცხოვრებიდან *)

გაისტუმრა თუ არა ქმარი, მარინე მაშინვე წავიდა ყაჭთან, მარდად ჩაიყარა ფურცელი კალთაში, მივიდა ჩაფარასთან და მიუბრუნდა შვილს:

— შენ წაი, საჭმელი ჭამე და კეცი გადაადგი ცეცხლზე, წყალიც შამოჰკიდე კაპჭანეით**) ეკალაიზა.

— ათინა-ა, ათინა-ა!—მოისმა ამ დროს ვიღაცას ძახილი.

— ე, ვინცხა იძახის, წაი, ნენავ, შიეგებე. რა უნდა ნეტაი, ვინცხაა? აქანაი არაკაცი მეიყვანო.

— არა აჰ!—მიუგო ბავშმა და გავიდა გარედ. ძაღლები გაწიწმატებულის ყეფით გაეშურნენ ღობის გადაღმა და გაცხარებით დარბოდნენ და ჰყეფდენ ხის ძირში.

— მობრძანდი-ი!—გასძახა ათინამ.

— გამოხევი პაწაი აქით!—მოისმა ხმა ხიდან, რომელზედაც ძაღლების შიშით სულ წვერში შესკუპებულიყო პატარა გოგო და იძახოდა. ათინა ჯოხით ხელში გაიქცა იქითკენ და გარეკა ძაღლები. ცოტა ხანს შემდეგ დაბრუნდა დედასთან და უთხრა:

— ტერეზიეი არის, ნენამ შამოგითვალოო, ჩემო მარინეო, შენი ჭირიმეო, დღეს ეკალას ვაკეთებ, არ მაქო, და ერთი ფინჩხაი ძალე ჩემ თავს ნუ გირჩონიაო და...

— შენ გასცხე ფეხი და ჩაგივარდა ენა! რა თქვი მაი!? ყაჭთან რომ მაგის თქმაი არ ვარგა, არ იცი ამ ხელა ქალმა?.. დედავ, ღმერთო, სული გამაგდებიე. რაღა ვქნა ახლა?! ჯვარი გწერია, ჯვარი გწერია!—მიაბრუნა მარინემ პირი ჩაფრებისაკენ და გადასწერა ხელით ჯვარი. ათინა იდგა კარებთან შერცხვენილი ჩუმად.

— არა, ამხელა ქალი ხარ, დაგვალული რომ ხარ, იმიზა თუ? ცამეტი წლის კი ხარ; მე ცამეტი წლის მეტის კი არ ვყოფილვარ, რომ დამნიშნეს... მიეცი, იქინეია ქოთანში; ამეიღე კოზზით.

— კიდევ შამოგითვალაო...

— აბდლური აღაფერი თქვა, აბდლური!—გააწყვეტინა სიტყვა მარინემ.

— კიდევ შამოგითვალაო, ჩემო მარინეო, ჩემო ბუდუაო, შენი ჭირიმეო, ყოველთვინ კი შეგაწუხე, მარაო, ლომის კარელი ***) მუუსვენებიან საყდარზეო, მთელი ქვეყანა იქინეი მივაო, მეც მინდა წასლაო და, თუ შენ არ გჭირიაო, შენი ყვითელი აბრეშუმის ცახოცი მათხუეო.

— ეჰე, თლა იმან დამიხია იგი ცახოცი, მარა ათხუე, რა უყო ახლა. ზანდუკში მონახე. რეიზა მუასვენეს ნეტაი ლომის კარელი? დიდება მის სახელს!

— ჰო, ნენავ,—დაიწყო სწრაფად ათინამ,—ქე დამავიწყდა წაღანაი, ბჟოლზე რომ ვიყავი, დარჯანაი გამეიარა და მითხრა, რომ მუასვენესო...

— დარჯანამ ჯვარი არ დაგიწერა ბჟოლზე?—კიდევ გააწყვეტინა ლაპარაკი შვილს მარინემ.

— რავა არა, რავა არა—მითხრა: „ჯვარი გიწერია ჩემი სულისა და ხორცისაგანო“. ჰო და მითხრა, რომ ლომის კარელი მუასვენესო.

— არა, თვალისგან გიწერიაო, არ უთქვამს, ცავ? ღმერთო მომკალი ახლა და აგია, რაღათ მინდა აწი აი ყაჭი: იმის თვალს რაღა გადურჩება!

— არა, მაშვინათე მივაძახე გულში, ჯინჭარი შენ თვალს, ჯინჭარი შენ თვალს, მეთქი,—სთქვა სწრაფად ათინამ.

— ეჰ, მართალს ჩივი, ცავ?—გაგზარდა, ნენავ, ღმერთმა. აბა მიეცი ცახოცი და იგიც გუუტანე... ჰო, რეიზა მუასვენესო?

— რეიზაო და შარშან ლუკაიას რომ მოზვერი დუუკლეს, გოგიელას სპილენძის კარდლები მოჰპარეს და ვინცხა კიდო თქვა, აღარ მახსოვს, იგინს უნდებიან იმ ქურდების გადაცემაო და უთხონიან ლომის კარელის მოსვენება. ქვეყნის შესაწირავი დუუხაზირებიან, ნენავ, ოქროს ფული, ვერცხლი, სანთელი...

II

შუა დღე გადასული იყო. მზე აცხუნებდა. მიწყნარებულ სოფელში ჩიტების ჟრიამულიც კი არ ისმოდა. სახლის წინ დიდი „კახამბალის“ ჩრდილში, რომელზედაც ბლომად მოსჩანდა შეწითლებული ბალი, იჯდა მარინე და რაღაც ძველძულებს აკერებდა, თანაც ის ალერსით, თავის ქნევით ეთამაშებოდა თავის პაწია, წითელ პერანგით მორთულ აკვირინას, რომელიც მობღაუქებოდა მას ზურგში, ხითხითებდა, ჰკოცნიდა და უცაცუნებდა ხელებს ლოყებზე. მარინეს პირი ყაჭიანი სახლისკენ ჰქონდა მიბრუნებული და ხშირად იყურებოდა იქითკენ მხიარულის მზრუნველობით, კმაყოფილი. მან გაათავა კერვა და გაიხედა. გზაზე ეზოს გადაღმა დაინახა ჩქარა მომავალი ქალი.

— ეფროსინე, ეფროსინე, საყდრიდან მოხვალ?—მიაძახა მან ქალს და ადგა. ბავშვი ჩამოეკონწიალა მას კისერზე. მან მაშინვე აიყვანა ის, შემოიჯდინა თეძოზე, გასწია ქალისაკენ, რომელიც ღობეს მოადგა.

— საყდარზე ვიყავი, კი. იმისანაი ამბავი იყო, ქალო... აი საკერავი რაა ამ კვირე დღეს?

— ღმერთი არ მიკალონებს, ღმერთი. რა ვქნა, ვეღარ უუთავდი ყორიფელს... ჩემი ყაძახი არ გინახავს?—დაეკითხა მარინე.

— რავა არა, შენიც და ჩემიც ეგერ მევლიან; მე წინწინაი გამევიქეცი, ბჟოლის საჩხოტათ უნდა წევიდე. არ წამოხვალ, მარინე? ბადალიშვილისას მანათ-ნახევრათ იძლევა ძირსო, ჩივიან.

— ვაიმე, რავა არ წამუალ. იქინეი ვაპირობდი მეც ახლა წასლას. ერთი ძირი დამპირდა უფასოთ. ყაძახს უცთი, მარა რომ აღარ იქნა მისი მოსლა... რა ამბავი იყო, თუ ღმერთი გწამს, ლომის კარელი მუასვენესო.

— უჰ, ნუღარ მკითხავ, რა ნახა ჩემმა თვალმა და ყურმა... მარა ნუ მალაპარაკებ, ყაჭი დამიწყტება შიმშილით, კირილე გეტყვის. მეჩქარება. გამოგიარ აბა ახლავე და.... ჯვარი გიწერია ჩემი თვალი, სული და ხორცისაგან.

— ჯვარი გწყალობს,—მიუგო მარინემ და მიიხედა იქითკენ, საითკენაც იყურებოდა იმისი სტუმარი.

სამივე ბავშვი: ათინა, აპოლონი და პაწია ამირანი, რძიანა ბალახით დატვირთულნი, მოდიოდნენ ფერდობიდან. სამივენი გაწითლებულნი და გაოფლიანებულნი იყვნენ.

— მზეში დააწყვეთ, ნენავ, ათინავ, წაღრეს პაწაი!—მიაძახა მათ მარინემ.

— რავა, ცახს უდგამ ჯერ, მარინე?

— დღეს პირისაცავი მინდა გუუკეთო და ხვალ ცახს მუუდგამ.

---

*) იხილე დამატება № 151.

**) პაწარა ქვაბი.

***) ხატის სახელი.

ქართული დრამატიული დასი


საფაროვი-აბაშიძე.


გაბუ


აბაშიძე.


რიშვილი.


ბაკი


გამყრელი ქ.


სვანიძე.


კარგარეთელი.


გამყრელიძე.


ყიფიანი.



…ლი.



ჩერქეზიშვილი.

# 1903—1904 წლის სეზონი.



ჩხეიძე.



…ლი.



აწყურელი.



ნეშიერიძე.



მდივანი.



გედევანოვი.



გუნია.



მესხი.



…შიძე.

— ჩემიც ჯერ არაა ცახ-მისადგმელი და, ჰა!—ამ ორ სამ დღეში კი პირს მისცემს.—სთქვა ეფროსინემ სიხარულით და ამპარტავნებით.—მე პირისაცავს ლომის ჩალით უკეთებ,—დაუმატა მან.

— აჰ, რძია რძიესანაი პირისაცავი რავა იქნება,—მიუგო მარინემ.

— გამოვიარ აბა ახლავე, სადილს ვაჭუმ ბალნებს.

— კი, კი, შენი ჭირიმე. მე ხაზირათ დაგხდები.

წავიდა თუ არა ეფროსინე, მარინე სწრაფად გამობრუნდა. დასვა ძირს ბავშვი, ჩამოიღო გარეცხილი და ლობეზე გასაშრობად ჩამოდებული გრძელი, დაბალ-ფეხებიანი სუფრა, დადგა იმ ბალის ჩრდილში, სადაც წელან თითონ იჯდა, წავიდა ნალიის ქვეშ მჭადის გამოსატანათ და დაუძახა შვილს:

— აბა, ნენავ, აპოლონ, საცივი მეიტანე, მალე.

— ყოველთვის მე არ შემიძლია, ციცამ მეიტანოს,—ტირილით მიუგო დედას აპოლონმა.

— დედავ, რაფერ ზინზილობს ამხელა ყაძახი.

— მეიტანე ათინავ, ჩემი ნენაი, შენ მაგ მტირალას ნუ უყურებ.

— არ შემიძლია, არა, ყოველდღე მე მომაქ; ბატონიშვილი ხომ არაა მაი, მაგანც მეიტანოს, რა უჭირს. რძიარძიე თლა ჩემი მოთხრილია, მაი პეპელებს დასდევდა, კი აფერი უქნია.

— მტყუანს, მტყუანს, მტყუანს?—წამოვარდა აპილპილებული აპოლონი.

— მე მევიტან საცივს, ნენავ!—გამოვიდა პატარა, ხუთი წლის ამირანი, რომელიც ძლივს მოათრევდა ორივე ხელებით თავისზე უფრო დიდ ცარიელ კოკას.

ყველას სიცილი წასკდა და გულიანათ გადაიხარხარეს.

—ამფეროზ, ბაბავ, ამფეროზ, ჩემო მცქვიტალიავ, ყოჩაღ!— მიაძახა მას ამ დროს მოსულმა კირილემ და მიუბრუნდა უფროსს:— წაი, ბიჭო, ახლავე მეიტანე ცივი წყალი, შენ ბაძიავ, შენ.

აპოლონმა მაშინვე უსიტყოდ წაავლო „დოქს“ ხელი და გაიქცა; მას დაედევნა ამირანიც.

—შენც წეიღე ლაგინაი, ტყუილათელაი რომ მიხვალ, აჰა! გამოუდგა მათ ათინა და მიაწოდა პატარა ლიტრა უმცროსსაც.

ცოტა ხანს შემდეგ ყველანი გარს შემოსხდომოდნენ ჯორკოებზე ჩრდილში გრძელ დაბალ ოთხფეხა სუფრას, რომელზედაც ეწყო დატეხილი ცხელი მჭადი, ჭუჭყისაგან გაშავებული, შუაზე გამოწკვერტილი ჭიქა და მწვანილი. მარინე ხის ჯამებზე არიგებდა საჭამადს.

— იმისანაი ძიგურაი გავაკეთე, კირილე, რომ თითს ჩაატკვერ.

— ეჰ, მძალითაა?

— ჩემმა მტერმა თქვა მაი, რაა, კირილე, ყაჭიან სახლში რას ჩივი მაგას!—მარინემ დადგა ძირს საჭამადიანი ჯამი და შეშინებულმა გაიხედა ყაჭისკენ:—მუუგდე, ბიჭო, მაი კარი!— მიუბრუნდა შვილს.

— ოჰო, ჰო, ჰო!—რა თქვა ბაბამ: მძალეო.

— შენ მაქანაი დაეგდე, რა შენი საქმეა!—შეუტია დედამ.

— წამცდა, მამა ნუ წამიწყდება, მარინე.—და რომ მოეგო ცოლის გული, საჩქაროდ დაიწყო:—ჰო, იმას გიჩიოდი წაღანაი: მე რომ მიველი, წირვა ე! გამოსრული არ იყო და აფერი აკლდა...

— შენ რომ თქვი, ვთქვა იგი, ვთქვა?—მუქარით ეკითხებოდა აპოლონს ათინა. სჩანდა, რომ ჭამის დროს ჩხუბი მოუვიდათ. ისინი ერთად ისხდნენ და ერთ ჯამში ჭამდნენ.

— აფერი არ მითქვამს, აფერი. აჰა შენ, აჰა შენ, ნატუსალოავ!—დაუშინა დას მჯიღები ზურგში აპოლონმა. ათინამ დაღუნა თავი, მოიფუზა, მიუშვირა ზურგი აპოლონს და სხაპასხუპით წარმოსთქვა:

— რომ მუაწიეთ ყაჭიან სახლთან, რძია-რძიეის მოტანით მევიღალეო და თქვა და თქვა: ჯინჭველა, ჯინჭველა, ჯინჭველაო...

— მაგან თუ თქვა, შენ რაღა გალაპარაკებს, შენ არ გასაზდელო, ალარა! ვერ იტყვი შავფეხო, არ იცი, რომ არ ვარგა ყაჭთან მაგის თქმაი?

— დასტურ თქვი, ბიჭო?—დააფრინდა თმაში შვილს კირილე და მიანჯღლ-მოანჯღლია.

— დიეთხუე, კირილე, თუ ღმერთი გწამს, რაცხას ყაზირალი იტყვის...

კირილემ თავი დაანება ბავშვს, რომელიც ატირებული გაიქცა სუფრიდან, მაგრამ გაჯავრებული ამბობდა:

— რანაირი ყაზილარებია, კი არ შეგარგებენ ერთ ლუკმას...

ახლა მარინემ მოინდომა მისი გამხიარულება:

— მერე, მერე, წირვა რომ მოასმენიესო?—დაეკითხა ქმარს.

**ნინო ნაკაშიძე.**

(შემდეგი იქნება)




პენსიის მიღება ტფილისის ხაზინაში

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.